

# საქართველო სირიის ბარეში

## ბუნებაში არ არსებობს

### განახლებულ მთავრობას მხარს არ დაეუჭერ

გაზეთი “ახალი თაობა”, 28 იანვარი, № 26, 2008

ინტერვიუ დეპუტატ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, რას ფიქრობთ წარმოდგენილ მთავრობაზე და რამდენად დააკმაყოფილებს პრეზიდენტის ამბიციას გურგენიძის მთავრობის ეს შემადგენლობა?

– ყველაზე უფრო კომპეტენტური მე ვიქნები იმ საკითხებში, რომელიც უფრო ეკონომიკის სფეროს ეხება, თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგად შეფასებასაც გავაკეთებ. ჩემის აზრით, იუსტიციის სამინისტროში რეალურად არაფერი შეიცვლება, ვეჭვობ, რამე შეიცვალოს გენერალურ პროკურატურაში. პრაქტიკულად გაგრძელდება ის ხაზი, რომელიც იყო განათლების სამინისტროში. რაც შეეხება გარემოს დაცვის მინისტრს, მასზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი პიროვნებაა, თანაც მისი პირველი საჯარო გამოსვლა ძალზედ სუსტი იყო, თუმცა საზოგადოებაში საკმაოდ კარგი პროფესიონალის და კარგი პიროვნების სახელი აქვს. რაც შეეხება დიასპორის სფეროში სახელმწიფო მინისტრს, ეს პოზიცია უბრალოდ გაუგებარია ჩემთვის: ჩვენ არც ჩინეთი ვართ, არც სომხეთი და უკრაინა, და არც განსაკუთრებული დიასპორა გვყავს, რომ ამ საკითხებს სპეციალურად მინისტრი სჭირდებოდეს. ნებისმიერ შემთხვევაში მთავრობას მინდა წარმატება ვუსურვო, იმიტომ, რომ მთავრობის წარმატება ჩემი ქვეყნის წარმატებაა. ამავე დროს მინდა ეჭვი შევიტანო მთავრობის ეკონომიკურ გუნდში. დავიწყეთ: ფინანსთა მინისტრი არ შეცვლილა. ჩემი დამოკიდებულება ამ მინისტრის მიმართ ყოველთვის კრიტიკული იყო. თუ მას ვინმემ არ უკარნახა ან

“შპარგალკაში” არ ჩაიჭყიტა, ისე პრაქტიკულად მას არცერთ კითხვაზე პასუხი არ აქვს. რაც შეეხება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ეს სამინისტრო არც ადრე ქმნიდა ამინდს ეკონომიკურ პოლიტიკაში, ახლა კი მინისტრად ის ადამიანი მოდის, რომელიც მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა ჩემს თვალსაწიერში, როდესაც პრეზიდენტ სააკაშვილის შემდეგ მან კიდევ ერთხელ გააუღერა ე.წ. დასაქმების პროგრამა. სამწუხაროა, რომ ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატი მხოლოდ ამ ფუჭი პროგრამის გარდა არაფრით ყოფილა დასამახსოვრებელი. ეს პროგრამა სინამდვილეში იყო და არის შემწეობა უმუშევრებისთვის წინასაარჩევნო პერიოდში, რომელმაც ინფლაციის ზრდას შეუწყო ხელი, ხოლო დასაქმებით რეალურად დიდად არავინ დასაქმებულა. აქედან გამომდინარე, მთავრობაში ამ პოსტთანაც მიმართებაში არანაირ შინაარსობრივ ცვლილებას არ ვხედავ. მაგრამ საკმაოდ დიდი ალბათობით შემიძლია ვთქვა, რომ დღეიდან მთავრობას ეკონომიკის კუთხით ორი პრემიერ-მინისტრი ეყოლება: ერთი ლეგალური, მეორე – ჩრდილოვანი. აბა, ვინ დაიჯერებს, რომ კახა ბენდუქიძეს კანცელარიის საქმეები ბავშვობიდან ჰყვარებია და დღეს ცნობილი ოლიგარქი ქაღალდების გადადებულად მოდებით დაკავდება. გასაგებია, რომ მან შეინარჩუნა ისეთი არაპოლიტიკური თანამდებობა მთავრობაში, რომელსაც არც პარლამენტი ამტკიცებს, და იქ საერთოდ მისასვლელიც კი არ იქნება. სავარაუდოდ ბენდუქიძე დაიტოვებს პეტრე მამრადეს, ან სხვა ვინმე აიყვანს მოადგილედ, რომელიც ქაღალდების მოძრაობას მიხედავს. თავად ბენდუქიძე კი იქნება ჩრდილოვანი პრემიერ-მინისტრი, იდეების გენერატორი, რაც ლადო გურგენიძეს არც უარყვია, როცა მთავრობის წარდგინება გააკეთა. ბენდუქიძე დაესწრება მთავრობის სხდომებს. ასე რომ, თუ ნოლაიდელის მთავრობაშიც ნოლაიდელი ბოლომდე პრემიერ-მინისტრად არ ითვლებოდა და რეალური პრემიერი ხალხისათვის სახელმწიფო მინისტრი ბენდუქიძე იყო, ახლა ბენდუქიძე კიდევ უფრო ღრმად მიდის ჩრდილში, რომ მას ფორმალურადაც არ ჰქონდეს პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მაგრამ რეალურად ის იქნება იდეების გენერატორი და არა მარტო გენერატორი, ამ იდეების განმახორციელებლთა მაკოორდინირებელიც. ის პრაქტიკულად ხდება ლადო გურგენიძის რეალური მარჯვენა ხელი. თუმცა საკითხავია, ვინ ვისი... შეიძლება პირიქითაც იყოს!

– ბენდუქიძის ჩრდილში გადასვლა უფრო მეტ კითხვის ნიშანს გააჩენს იგივე პრივატიზაციის კუთხით?

– საქმე იმაშია, ყველაფერი ისევ ისე რჩება, როგორც იყო, არაფერი იცვლება. ის პაკეტიც, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა პალლამენტში განსახილველად, მიუხედავად იმისა, რომ იქ არის მთელი რიგი საინტერესო მომენტები, მთლიანობაში არის გაგრძელება იმ პოლიტიკისა, რაც ამ წლების განმავლობაში ხდებოდა. რაც შეეხება კახა ბენდუქიძის გადაადგილებას, ეს ნიშნავს ვიზუალურად “დაუმალონ” ხალხს. რა გინდათ, მინისტრი ხომ არ არის, მაგრამ რეალური სტატუსი მას კანცელარიაში არც ერთ მინისტრზე ნაკლები არ ექნება. ასე, რომ ფაქტობრივად ჩემთვის რაიმე ცვლილება უკეთესობისკენ, ან უარესობისკენ არ არის. რაც არის, ისევ ის იქნება! მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ მთავრობის შემადგენლობაში ზოგიერთი ისეთი ადამიანია, რომელსაც პიროვნულად პატივს ვცემ, ამ მთავრობას მხარს მაინც ვერ დავუჭერ.

– რამდენად მისაღწევია პრეზიდენტის დაპირება საქართველო სიღარიბის გარეშე, ამ მთავრობის პირობებში?

– საერთოდ, “საქართველო სიღარიბის გარეშე” ეს მხოლოდ ლოზუნგია და მეტი თითქმის არაფერი! იმიტომ, რომ ქვეყანა სიღარიბის გარეშე უბრალოდ ბუნებაში არ არსებობს. ეს ისეთივე რამეა, როგორც პერპეტუუმ-მობილეს შექმნა იყო წარსულში. ზუსტად ასევე შეუძლებელია ააშენო ქვეყანა, სადაც არ იქნება სიღარიბე. შევეცდები თქვენ კითხვას უფრო დეტალური პასუხი გავცე. არსებობს სიღარიბის ორი ცნება: აბსოლუტური და ფარდობითი. მსოფლიო შეთანხმებულია იმაზე, რომ აბსოლუტურად ღარიბია ადამიანი, თუ ის თვეში მოიხმარს ორ დოლარზე ნაკლებს, ხოლო თუ ერთ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს, ის უკვე ლატაკია. ფარდობითი სიღარიბე კი ყველა ქვეყანაში სხვადასხვა დონეზეა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარობიდან გამომდინარე. იგივე ამერიკაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 12% ცხოვრობს. ამერიკაში სიღარიბის ზღვარი ნიშნავს არაუმეტეს 20 000 აშშ დოლარის შემოსავალს წელიწადში ოთხ სულიან ოჯახზე. თუ საქართველოში ეკონომიკა განვითარდება სიღარიბის ზღვარიც აიწევს. ჩვენ შეიძლება სიღარიბე შევამციროთ, ჩვენ მართლაც უნდა აღმოვფხვრათ აბსოლუტური სიღარიბე, მაგრამ ფარდობითი სიღარიბის აღმოფხვრა, ეს პერპეტუუმ-მობილეს

შექმნის მცდელობაა. ასე, რომ თვითონ ლოზუნგი „საქართველო სიღარიბის გარეშე“ ლამაზია, მაგრამ თუ ამ ლოზუნგში ვგულისხმობთ აბსოლუტურ სიღარიბეს, ეს ადვილად დაძლევადა თუნდაც დღევანდელ პირობებში და ამას სულაც არ სჭირდება 5 წელი, ხოლო თუ ფარდობით ცნებას ვიგულისხმებთ (რაც აუცილებლად უნდა ვიგულისხმობთ), ეს კი მიუღწევადია. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ სიღარიბის შემცირებაზე საუბარი კარგია, მაგრამ მისი აღმოფხვრა შეუძლებელია.

ამ საკითხის აქვს მეორე მხარეც. 2007 წლის სექტემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გააკეთა ასეთი განცხადება: საქართველოში წარმატებით იქნა დასრულებული სიღარიბის დაძლევის პროგრამაო, რაც ყველას მიავიწყდა, რადგანაც ეს გადაფარა ოქრუაშვილის განცხადებებმა და შემდგომმა პოლიტიკურმა ციებ-ცხელებამ. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ სიღარიბის აღმოფხვრა პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მთავარი ლოზუნგი გახდა წინასაარჩევნო კამპანიაში. საქმე ისაა, რომ სიღარიბის დაძლევის პროგრამა ფორმალურად საქართველოს გააჩნდა. ის დაიწერა 2002-2003 წლებში არასამთავრობო სექტორის მიერ უცხოელი ექსპერტების კონსულტირებით. ეს პროგრამა ვერ ამოქმედდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შევარდნაძის მთავრობა ამ დროისათვის იყო აბსოლუტურად უუნარო. ვარდების რევოლუციის შემდეგ აუცილებელი იყო ამ პროგრამის თვისობრივი განახლება. მაგრამ მაშინ ჟვანიას მთავრობამ ამაზე უარი თქვა. აღმოჩნდა ძალიან კურიოზული რამ. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა განცხადება, რომ საქართველოს აქვს სიღარიბის დაძლევის პროგრამა არაერთხელ გააკეთა, თუმცა ისინი გულისხმობდნენ იმას, რომელიც შევარდნაძის დროს დაიწერა. ამას ამბობდნენ ისე, რომ საქართველოს მთავრობისთვის ეს დოკუმენტი დოკუმენტი არ იყო, უფრო მეტიც ამ პროგრამაზე საუბარი მთავრობას აღიზიანებდა კიდევ. საბოლოო ჯამში, როცა სავალუტო ფონდმა განაცხადა, რომ სიღარიბის დაძლევის პროგრამა დასრულდაო, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ პროგრამას გულისხმობდა, თუმცა როგორ დასრულდებოდა ის, როცა მისი განხორციელება კი არავის უცდია. ამიტომ ვართ ასეთ კურიოზულ სიტუაციაში, ამას ემატება ისიც, რომ კაცმა არ იცის სად გადის დღეს საქართველოში სიღარიბის ზღვარი.

2002 წელს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 52% ცხოვრობდა. 2004 წელს კი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა მოხლოდ მოსახლეობის 35%, რაც მაშინ კარგადაც იყო გაპიერებული: ქვეყანაში სიღარიბე ქვეყანაში 52-დან 35%-მდე შემცირდაო. სინამდვილეში სიღარიბის ზღვარი შემცირდა მისი გათვლის მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების გამო: მთავრობამ შეამცირა საარსებო მინიმუმის კალორიულობა, ხოლო საცალო ფასების ნაცვლად საბითუმო ფასები გაითვალისწინა. 2005 წელს ახალი მეთოდოლოგიით ჩატარებულმა გათვლებმა სიღარიბის ზღვარის ზრდა აჩვენა, როცა ის დაფიქსირდა 39%-ის დონეზე. 2006 წლის მონაცემები კი საერთოდ არ გამოაქვეყნეს იმიტომ, რომ სიღარიბე 42%-მდე გაიზარდა. გამოვიდა, რომ რევილუციის შემდეგ ქვეყანაში სიღარიბე ყოველწლიურად იზრდებოდა. 2007 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტი უკვე აღაპარაკდა იმაზე, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 28% ცხოვრობსო, თუმცა კაცმა არ იცის, საიდან მოვიდა ეს ციფრი. თუ დავუკვირდებით, დღეს ამ ციფრს არავინ ახსენებს. არის მხოლოდ ზოგადად ლოზუნგი “საქართველო სიღარიბის გარეშე!”

– როგორ ფიქრობთ, ბატონო ლადო, როცა მიხეილ სააკაშვილი ამ ლოზუნგზე აგებდა თავის წინასაარჩევნო კამპანიას, მას არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ასეთი პროგრამა უკვე არსებობდა ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ დაწერილი?

– 2003 წელს, როდესა შევადრნაძემ ეს დოკუმენტი დაამტკიცა, მისი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კრიტიკოსი თავად მიხეილ სააკაშვილი, როგორც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, იყო. გულახდილად რომ ვთქვა, მე ვეჭვობ, რომ დღევანდელ მთავრობას ბოლომდე ჰქონდეს გააზრებული რას ნიშნავს სიღარიბე. თუ დავუკვირდებით, ყველა მინისტრის, მინისტრობის კანდიდატის თუ უმრავლესობის დეპუტატების გამოსვლები იდენტურია: კაჭკაჭივით ერთი და იმავეს იმეორებენ სიღარიბესთან დაკავშირებით. როგორც წესი ეს განცხადებები არის ძალზე ზედაპირული: რასაც პრეზიდენტი სააკაშვილი იტყვის, ყველა იმას იმეორებს.

– თავად პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ სიღარიბის დაძლევაში ლომის წილს ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა შეიტანს.

– რაც შეეხება თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, უკვე მრავალჯერ ვთქვი, რომ ეს ქვეყნისთვის ძალიან ცუდი იქნება. ძალიან ბევრი რამით არის ცუდი, მაგრამ ამ ეტაპზე შევეცდები მხოლოდ ერთი არგუმენტი მოვიყვანო. დღეს საქართველო განიცდის ინვესტიციურ შიმშილს. ქვეყანას სჭირდება სერიოზული ინვესტიციები: არა სპეკულაციური ხასიათის ინვესტიციები, არამედ ინვესტიციები რეალურ სექტორში, რომ ამოქმედდეს ჩვენი საწარმოები. ქვეყნებში, სადაც საინვესტიციო შიმშილია, რეკომენდებული არაა თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსანა: თუკი შექმნი თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, შენ ინვესტორისთვის მომხიბლავს ხდი მხოლოდ ამ ზონას, არსებული შეღავათებით. ამიტომ ინვესტიციები შემოვა მხოლოდ ზონაში. შენი ადგილობრივი ინვესტორებიც თანხებს მოხლოდ ამ ზონაში გაიღებენ და არა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ზონაში სოლიდური კაპიტალი შევა. ადგილობრივი მოსახლეობა მეტ-ნაკლებად დასაქმდება, მაგრამ ეს ყველაფერი მოხდება დანარჩენი საქართველოს ხარჯზე. დანარჩენ საქართველოში ინვესტიციური შიმშილი კიდევ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, მთავრობამ აირჩია კურსი – ფოთის განვითარება დანარჩენი საქართველოს ხარჯზე. კარგად გამიგეთ, მე ფოთის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ რატომ დანარჩენი საქართველოს ხარჯზე?

– თქვენ ზემოთ ახსენეთ, რომ ამ მთავრობას მხარს არ დაუჭერთ. იქნებ დაგვიკონკრეტოთ რატომ?

– სწორედ ამიტომ, რომ არაფერი იცვლება ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით. მთავრობას, რომელიც მიზანმიმართულად ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნით, მთავრობას, რომელსაც უნდა დაასუსტოს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორც არის ეროვნული ბანკი, მე მხარს ვერ დავუჭერ. გამოვიყენებ ჩემი კოლეგის სოსო ცისკარიშვილის ტერმინს “ბენდონომიკას” და ვიტყვი: საქართველოში “ბენდონომიკა” გრძელდება! ჩემი მხრიდან კი ამის მხარდაჭერა გამორიცხულია!

– დაბოლოს, ბატონო ლადო, სტრასბურგში პრეზიდენტის ვიზიტისას ქართული და რუსული მხარის მიერ ტონი აშკარად შერბილდა და ამ ფონზე

საქართველოში დღის წესრიგში აქტიურად დადგა რკინიგზის პრივატიზაციის საკითხი. რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით, არის თუ არა ეს ურთიერთკავშირში?

– პირველ რიგში მე ყოველთვის მივესალმები ნებისმიერ სახელმწიფოსთან, მათ შორის რუსეთთან, რომ ტონი იყოს ნორმალური. ეს ტონი უნდა იქნეს შენარჩუნებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრინციპული პოზიციები იქნას დათმობილი. ლავროვის მჯიერ გააკეთებული განცხადება, რომ რუსეთი არ აღიარებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ რას გააკეთებს რუსეთი იმისათვის, რომ მოხდეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან თუნდაც ეტაპობრივი ინტეგრაცია, ეს მეორე საკითხია. ის თუ რის ხარჯზე კეთდება ასეთი განცხადებები, ამას დრო გვიჩვენებს. ურთიერთობის სერიოზულ დათბობას ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, ამის პროგნოზირებას ჩემს თავზე ვერ ავიღებ, თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებია და ყველაფერი გამოიკვეთება იმით, ახალი პრეზიდენტი პუტინის ხელში მარიონეტი იქნება თუ სერიოზული გავლენების მქონე. ასე, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ძირეულ გარდატეხას მე პირადად არ ველოდები, თუმცა ურთიერთობების ნორმალიზაცია აუცილებელია.

რაც შეეხება რკინიგზის თემას, მინდა გითხრათ შემდეგი: რუსეთი უკვე აკონტროლებს სომხეთის რკინიგზას. ის რომ მართლაც ბოლომდე რუსეთის სარკინიგზო არტერიის მონაკვეთს უშუალო კავშირია საჭირო. აზერბაიჯანი ამ ეტაპზე გამორიცხულია. რჩება საქართველო. თუ საქართველოს რკინიგზაც რუსებმა ბოლომდე ჩაიგდეს ხელში, მერე დადგება აფხაზეთზე რკინიგზის გახსნის საკითხი. ამით პრაქტიკულად მოხდება საქართველოს ეკონომიკის რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში სრული ინტეგრაცია. ამ საკითხებზე ხშირად მისაუბრია იგივე თქვენი გაზეთის საშუალებით. ელექტროენერგეტიკაში რუსეთმა ასეთი კონტროლის დამყარება ნაწილობრივ მაინც უკვე შეძლო, საბანკო სფეროში დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული. გახსადენზე არაფერი გამოუვიდა: გაზპრომს კი უნდოდა ჩვენი მაგისტრალური გაზსადენის შესყიდვა, მაგრამ საბედნიეროდ ამერიკელებმა შეუშალეს ხელი. ვიმედოვნებ იქნება ახლაც “ძია სემმა” გაახილოს თვალი და მან კიდევ ერთხელ გადაარჩინოს საქართველო, რათა რკინიგზა რუსეთის ხელში არ მოხვდეს.

– რადგან ტენდერში მონაწილე კომპანიების ვინაობა გასაიდუმლოებულია, არ გამორიცხავთ, რომ რკინიგზა რუსებმა იყიდონ?

– რა თქმა უნდა. რუსებმა შეიძლება სხვადასხვა მექანიზმებით იმომედონ. ისინი შეიძლება პირდაპირ შემოვიდნენ, შეიძლება საზღვარგარეთ დაფუძნებული შვილობილი კომპანიით. არც ის არის გამორიცხული დღეს რკინიგზა რომელიმე უცხოურმა კომპანიამ შეიძინოს და რამდენიმე წელში რუსებს მიჰყიდოს.

**შორენა კოწოწაშვილი**